



სახალხო ფურცელი

საქართველო ჟურნალი

ბაჟითი № 597


ლაგაზისი № 107

კვირა, 12 ივნისი 1916 წ.

აი - სოფია სტამბოლი



გარედა.



შიგნით.

ნაკრი

შარშან ენახე შენი ბაღია, მზის სხივებით მოჭარბულა—
ყვავილებით საესე იყო—როგორც გრძნობით ჩემი გული:
იყო ვარდი, ზედ ნამო რომ დაჭქსოვიდა ნარშის დარად,
იყო სიო-გარდაქნაილი სამსისიყო საუბარად,
იყო ია და შროშანა, გულისამაქ იყო ბეგრი
და ერთ ადგილს, ერთ კუნუტულში ნარიც იღვა ეკალ-მჭევირი.
ალერსით სიჭვი:

—,იცი, მართლა, მე სულ განგებ ვისაძველე,
ეს ნარი შენ მოვალოდე და მიტომ არ აშოგმარგლე,
რომ გენახა შენის თვალთ უცნაური განსხვავება—
თუ ვით ძალუქს ყვავილთ შორის შენე ნარსაც აყვავება!—
ვაშ თუ გულოც ასე იყოს—რომ მის ბაღია უშ-ნარი—
ყვავილობდეს, მაგრამ იქვე იზრდებოდეს ზიზღ-სნარი?!..*
თავ დახრილად, მკლავ ვაშლილად მოხელ ჩემთან მოძაძაგე
და ბაგენი ჩემს ბაგეზე მუქ ვარდებად დალაგე!..


დრო გავიდა, მაგ თვალგმა შუტი სხვისკენ მიაშურეს,
სხვა აანთეს ცეცხლულად, ჩემთვის სითბო დაიშურეს,—
შენი ფიჭრის ყვავილებში სხვის ოცნება აბულბულდა
მე კი ცივად ჩამომცილდი, ჩემი ჰანგი შენ შეგაძულდა!—
და ლამაზო, წველს ამიხდა შენგან შარშან ნაშისარი,
შენი გულის ჭრელ ბაღიდან—მე მომიძღვენ მხოლოდ ნარი!..
ბ. ფაშალიშვილი.



ღვით გარესჯის მონასტერი



ზედა გერასა. ფრესკა სამსონისა, რომელიც ლომს ახობს.



ზედა გერასა: სადარაჯო კოშკი და კლდში გამოკეთილი სენაკები.



ნათლისმცემლის ტაძარის ფრესკები. ქვემო წმ. რიფიმი: ზემოდ სენეში დავით გარესჯელის ცხოვრებიდან.

გულის პიეზა

(ნაწევრები ემიგრანტის დღიურიდან).

კაცსა მიჰედეს საწადელი, რას ექებდეს უნდა პოვნა
შაშინ მისგან აღარა ჰმნას, გარდასულთა კირთა მსოფნა...

შოთა რუსთველი.
ნ აპრილი

.....რამდენი ხანია, რაც აქ ვიყოფები? კარვადაც არ მახსოვს!
სულ მკრთალად კი მაგონდება წარსული! .. რა კარგი დღეები იყო!
იყო და, ახლა კი აღარ არის! რას წარმოვიდგენ ახლა?

*) თარღი ახალი სტილითაა.


ქარისაგან მოგლეჯილი ობოლი ღრუბელივით, მისთვის უცნობ, მხარეს რომ ცრემლს დაღვრის და მერე, დასრუტულ-გამოფიტულ უგზოუკვლოდ მთის წვერზე ზეტიას დაიწყებს, — გულ-ჩათხრობილ და სედიანი დეგებტები ზეც უცხო ქვეყნის ბურუსიან ქუჩებზე და გამოფურცევილ ჩემს თავს ვეკითხები: ან რაღა დამჩრა?...

ის გულის ძეგრა, აღწოთვანება, გატაცება და მღელვარება რაც გოგური სისწრაფით საღდაც ალაშქრულ ქვეყნისკენ მიმიზიდავდა — გაჰკა, წავიდა...

გულ აღარ მქვს!.. მის ადგილს ფერფლსა ვგრძნობ, ტყეში ნიტოვებულ საკურთხეველზე შეკუმშულა და გარეული წვიმისა და ქარისაგან გამავრცელდა...



სახვლია ბრძოლა. ნაღმონებისა და წალქვეშათა ბრძოლა.



ქალ. ტრაპიზონი. ნავისადგურში მოსჩანს რუსების ტრანსპორტები.

გულის ძვრისა და ღელვის მაგიერ მომხმისა შენჯარავი წმუ-
ლი,—შემაწუხებელი ელრიალი ვატეხილი ზარისა...
გაჩრადნებული და ხმაურითი საესე ქუჩები ევროპის ქა-
ლასა, როდი ახალისებ ჩემს გრძობას; მისი, ნურვიული, მოუსყე-
ნარი და გამწავებული კვეცე-ძიება; ცხოვრებისათვის მოწუხობლ
პირობებისა,—როდი იზიდავს ჩემს არსებას; არამედ ისეთი მოწყე-
ტული და სუსტი ვარ, როგორც ტირიფის ჩრდილი, მოვარიან და-
მეს ღელის პირად თივდახრილი...

ჩემი თვალები ღრმად ჩაქვივუნულან და ისე მკრთალად ციმცი-
მობენ, როგორც მწუხრის ღრის საყდარში დანთებული ფიქს სან-
თელი.

წინად რომ ყოინა და ძახილი გამამხნევებელი ხმებისა მეც
მაქვებდა და საბრძოლველად მიმიწვიდა; გულს მიტოვებდა და
გისური გატაცებით ჩემთ მიზნადედა, საიდანაც ხმა ისმოდა,—ახლა
როდისა შეაჭრობას ჩემს სმენას,—არამედ ქუჩებს მიმავალი ფეხის
ხმა, ხმაურობა და ყიყინი, ყრულ მიხვებდა გულისდაღალს და მყისვე
მიწყვდება; როგორც დასაფლავების ღრის კუბოზე ნიძბით მიყრბი
შშრალი მიწისა...

ჩემს თვალწინ მივივბინან ერთმანეთს მთელი რიგი კუმობებისა,
როგორც უფერული და მოწყენილი დღეები შემოდგომის თვისა...
მესმის წყაბა-წყუბი შეფურცელები წვიმისა; ეხედავ როგორ გას-
წრაფებით მიდიან ბორბლები ავტომობილისა, გასრილებისა შემდეგ
რომ ტალახიან შეფუქს ასბურბენ და მიეშურებიან,—თითქო ზო-
ლო არ ჰქონდეს, დასასრული არ სჩანდეს...

მე კი, წმუხარე და სველიანი, ფარფიტასავით გატრეცილი შევ-
ყურებ მათ მსულებლობას და მინდა კვლავ გული ჩემი ვიპოვო... მინ-
და კვლავ ამოძრავდეს ჩემი გული, როგორც ერთის ღრის, კაცობ-
რიობის სიყვარულით რომ იყო გატაცებული... მინდა კვლავ მოგნა-
ხო მისი არსება და გახარებულმა, მის ძვრისთან ერთად კვლავ გა-
ვკითონ თვლები...

მინდა კვლავ ვიპოვო ჩემი გული...

10 აპრილი

სად არის ჩემი გული, რატომ არ ვგრძნობ მის ღელვას? რა-
ტომ არ მზიარლობს ჩემი სული?... რატომ იყო, ღღეს რომ ქუჩაზე
მივიდიოდი ასე განმარტებული, ასე ყარბად ვგრძნობდი ჩემს თავს?
რატომ სხვებისათვის მეც არ შემეძლო ხალხში გაერეულიყავ, მათსა-
ვით ცხოვრების წყობილობისა მეც ავყოლოდი...

რატომ იყო, თავჩაღრუნული, აპრილისათვის კედელ-კედელ
მივღასასებდი, თითქო ამ ქვეყნური არ ვყოფილდეც,—ხმაურობა
და სიცილი ჩემს გულს ასე წმუდებდა, როგორც ქარისაგან აბნეუ-
ლი შენდგომის ფოთლები, ღამე-ყოჩის რომ მიტეკდებდა და ისევ
ძირს დეწვებდა!.. რატომ არ ითვსესტე ავფურ მცხოვრებნი ჩემი ბუ-
ნება?... რატომ არ შეივრია ტუბო მთავის, ჩემი არსება?...
რა მინდა მე?... სული ჩემი განამარტოებულა, სახე მოწყენილი,
თვლები დატრეწებული... თავი ხოპ ტკივლებით სახვას... თითქო

სამქედლო იყოს, გახტრებული რახუნი გააქვს გრდემლებ კვერის
ცემას ვილაც უცნობი, დაკარწხებული მკლავებით, კვერის ასწევს და
მთელის სიძმბით ტრინის ქალს ჩასცხებს... მერე დასქუქს, დაქუქ-
ხავს და თითქო უნდა გასცვას თავი, უნდა გაიხტრისოც კანი,—სა-
შინელ ტკივლებს მაკარწმობინებს, მომკრწხნავს, დამკრწხავს და
შეწუხებულს მიმატოვებს...

მტკიცე თავი, საშინლად მტკიცა... სწუხს სული, საშინლად
სწუხს...
აცხცახებული, ნადირივით შეწინებული, აქეთ იქით ვეცქირე-
ბი, თითქო შევლას ეკლდე ვისაგან... დამფრთხობი და შეწინე-
ბული თვლებს ვაპყრობ ცის სივრცეში, მანცა გზას მაჩვენებელი
ვარსკვლავი ვიპოვო, მინდა სასივრთი იქ მაინც განვისვენო... მაგრამ
ამათა ძიება ჩემი და თვალნი ჩემნი ვერ იპოვიან სადგურს მყუდრო-
ებისას...

ნეტა ის საღლა ვაქრა, ერთ ღროს ჩემს ცმაწვილურ არსებას,
მთელის თვისებით რომ იზიდავდა და მეც გეფერი თავდავიწყებით
იქით მივდიოდი... განწირული ჩემი თავი სოციალისტის განსაზო-
ცილებლად რომ მიეზიდებოდა და მეც შევებას და სიხარულს ვანი-
ცილებდი... რატომ ასეთი წარმატაცი და ღამაში იყო ის დრო?!...

აი, ჩამოპკავება ჩვენი სოფლის საყდრის ზარი და ხმა მისი,—
წკრილით არე-მარის მოვლინებული, ახალი ქვეყნის მოსაოველად
გრვინად ქვეული,—თვალბს უბრწყინება ქობებში მიმალულ გულ-
კაცებს და საერთო საქმისკენ ერეკებოდა... მეც იქ ვიყავი მაშინ...
მათ სვლიან გულს ვამხევედი, თანასწორობასა, ძმობასა და ერ-
თობაზე ვებადგებდი... კაცობრიობის ვარდაქმნას ვწინასწარმეტყვე-
ლობდი, მის მისაღწევად ციხეებისა და ბორკილების დამტრეკვს
ვლამობდი; იქით მივიწვევდი, სადაც ყველა ქვეყნის ხალხი ერთ არ-
სებად უნდა ქვეულიყო... საერთაშორისო შეერთებისკენ ვიხმობდი
და ერთას დაკვირთ ვლამობდი კედელი გაბერღვია, რომ მზით მო-
ფერულ ქვეყანაში შევსულიყავი...

როგორი მცინარი და იმღიანი თვალბი მქონდა მაშინ... და
განბრე პირობებიც და ბუნებაც ხომ წარმატაცი იყო მაშინ...

როგორი ღამაში და ეხზანი იყო ელიკო... მისი ეყვენთ თვა-
ლები არ იყო, რომ შეხედვის ღრის ჩემს სიბულს ერუანტელა დააწ-
ყინებდა და მეც აღგზნებულ-თავდავიწყებული მივდიოდი შორს,
ლამებს დღესათვის ვეტარებდი, ოღო-ჩოლო გზას არ ვერიდებო-
დი, რადგან მეგონა იქით მიმიწვივდა ელიკოს თვალბის... და როცა
დაქანტული კვლავ ელიკოს თვალბს შეხვდებოდი, გული ძვრას
იწყებდა და კვლავ საგმობო საქმეებისკენ ვეშურებოდი...

ეხლა სად არის ელიკო?... სად არის ჩემი გული?... ვაჭკრა, წა-
ვიდა!.. რატომ ვარ ასე ეულად მყოფი?... რატომ არავივარ მიზიდავს
და არ ღელდება ჩემი გული?... ნეტუც სად უნდა ეფერი, სად უნდა
ენახო ჩემი ბინა, ნავი-საყუდარი?...
...რატომ არ სძვრას ჩემ ბგული?...



პ.პ. ირ. ხმალადე. (მოკლული).

15 აპრილი.

ნეტა რათ იყო, დღეს რომ იადიდა, თეატრის შემდეგ კარე-ბამდის მივიცოდე, სახეში კი არ დავტრუნებულვარ, არამედ დიდი ხანს ქუჩებზე ვტრიალობდი და სულ იდივგან ვფიქრობდი... იდივგან ხომ კარგა ხანია, ვიცნობს... ხშირად შეხვედლივართ ჩვენ ერთმანეთს და დღეს კი, — რატომ სხვანიარად ვხედავდი მას?...

სამკითხველთან ვბრუნდებოდი, ჩავიჭრებოდი და მოწყენილი ვთვით, როგორც ჩვეულებრივად, რომ იდივგან მოსაძებნად გამო-მავხიზოლა...

- რატომ ვგრე დიდერემილი ხართ? შემეკითხა ის.
- გინა როდის ვარ მზიარული, იდივგან...
- კი, მაგრამ, ახლა ძალიან გიტყობთ სახეზეს!
- არაფერია, ვაივალს!.. თქვენ საით ყოფილხართ?..
- ლექციიდან ვბრუნდებოდი და ალექსი გზახეს!.. ღმერთო რა სასაცილოა ეს ალექსი! ჩაგაცივდება წურბელსაგვით, დავიწყობს ლაპარაკ და თვიდან ვერ მოვიკლებს!..
- სად ვაივალს, ალექსი?
- ერთმა მეგობარმა ქალმა გამაცნო. თურმე დიდი ხანი იტყეწა, იდივგა გამაცანიო!
- მერე, თქვენ ვმყოფილი არა ხართ? ალექსი ხომ ლამაზი ყნაწვილია?..
- იიპა! აბა!.. ლამაზი!.. თითქო გულმოსულიაო, ჩილიპარაკა იდივგან.

ჩვენ გზას ვაგრძობდით. უკვად ის შეჩერდა და მუტყაზე გამოსულ აფიშს დაწყო კითხვა:

- ვაივალთ დღეს „Manon“-ზეს!.. ჰხედავთ! მოსული ტერორი მღერის! შარზინაც ვნახე გვ მე! ძალიან ტკბილი ხმა აქვს! არ გინდათ? მე ძალიან მინდა და მარტო კი ვერ წავალ!
- კარგი, ვაივალთ!..—მხოლოდ ქანდარახე, ზეგით!—
- რასაკვირვილია! მას, სიღამოზე გამომიბარეთ!
- კი, კი უეჭველად! და ჩვენ დავემშობოთ ერთმანეთს. თეატრში წასასვლელი ფული უნდა გემოვნა და ეს კი არ იცოდა იდივგან, რომ არც ისე ადვილი იყო!
- ყოფილხართ მანონზე? შემეკითხა იდივგა, როცა ჩვენს ადგილებზე დავსხდით.
- არა, პირველად ვარ!

— ძალიან კარგი ოპერაა, ნახავთ როგორ მოგწონებთა!
მთელ ოპერას გატაცებთ გუსმენდი. მასნეს ტკბილი მუსიკა წყნარად და შეპარავთ მისრიალებდა ჩემისხეულის უჯრედებში და იქ სისამოზო ერუნტელს აწყობინებდა... შევიღვის შემსრულებელი ხომ დახელოვნებული არტისტი აღმოჩნდა და მსმენელთა ყურადღებაც მოვლად მიიზიდა.

— უბედური მანონი!.. სიტყვა იდივგან ანსტრატის დროს, ფოიეში რომ გავდიოდით.
— მანონი კი არა, შევალი! უკასხე.
— რატომ?

— თქვენ როგორ გგონიათ, რომელი უფრო გულწრფელად და მიტელის არსებით ეძლევა სიყვარულს, მანონი თუ შევალი?..

— ორივე, რასაკვირველია!
— არა! შევალიც მანონი სცროვოს! მას ერთსა და იმავე დროს სიყვარულიც უნდა და სიმდიდრეც, და რადგან ორივე ერთად არ ხერხდება, ხან ერთისკენა და ხან მეორესკენ!

ამ დროს ფოიეში გავდიოდა და ერთ მხარეს ქალებით ვარშემოტყეული ალექსი შევაძინეთ.

— აი, რა სძაბაველია! მე კი მოთხრა, ამაღამ არ მქალაია და თეატრში ვერ წავალ! სიტყვა იდივგან და თან ალექსისკენ (ქერა დიიწყო; დაკვირვებული ათავლიერება ალექსის ნაცნობ ქალებს და თან ცდილობდა წელეფარება დავფარა.

როცა თეატრი გათავიდა და ჩვენც არეულ ხალხში კიბეზე ჩამოვეშვით, გარედ კარგი ამინდი დავგვხდა. კრილა ცა ვარკველებით საესე იყო. იდივგან მოთხრა, ცოტა გავიაროთო. ტბისკენ წავიდით.

უცნაურ გუნებაზე იყო იდივგა, ქვიანქვაზე ჰტრიადა, წყალს მასხავდა, კისკისობდა და ცეკვობდა... მისმა მზიარულებამ მეც გავმტაცა. იდივგას ხელს ვვიდებდი, წყალს ვასხამდი, კენჭებს ვსვრიდი... ვიკინდით და ერთმანეთს დავივდიოთ... მერე ხელ-ჩაკიდულნი მანონთან დანახარებულ არივს ვცურებოთ...

- Nous irons à Paris!.. დავიწყებდი მე.
- Tous les deux?..
- Nous vivrons à Paris!..
- Tous les deux?.. და მერე ორივე ერთად.
- Pour toujours reuni nous vivrons à Paris, à Paris!.. *)

ასე ვცურებდით ხელ-ჩაკიდულნი და ერთმანეთს შევიკინდით თვალებში.

იდივგა მალე დაიღალა, ხმაურობა შეწყვიტა და ჩვენ გავეშურეთ სახლისკენ.

- ნახვამდის! მოთხრა იდივგან, კარებთან რომ მივიცოდე.
- ნახვამდის, იდივგა! ვუკასხე და გამოვბრუნდი. მაგრამ სახელში კი არ წავსულვარ! ქუჩებზე დღ-ხანს ვეჩეტებოდი. იდივგას მზიარული სახე მდგა თვალწინ.. და თითქო იქ კი არ დამეტრევიდნოს, თავის სახლში, არამედ თითქო თან მყოფოდეს,—მასთან ოხუნჯრობას ვანეგრძობდი, ვეძაბებოდი და ტრუნე ლიბით გზას ვაგრძობდი...

იდივგა კარგი ქალია! იდივგა საუცხოო ქალია! ვამბობდი გულში, ვახარებოდი მისიოდით თითქო მქირფავს რამ მემოიონოს რ, საკვირველია, თითქო გულის ძეგრაც დაიწყეთო,—ვგრძობდით მის ტრეკას...

(შემდეგი იქნება).

დ. ლიხენი.

*) — ჩვენ წავალთ პარიზში!
— ორივე?..
— ჩვენ ვიცხოვრებთ პარიზში!
— ორივე?..
— სამუდამოთ შეერთებულნი, ჩვენ ვიცხოვრებთ პარიზში... პარიზში..

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქიძის ქუჩა. სტამბა „პარტილი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.